ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N342
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 09.09.2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თბილი სახლი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ პირდაპირ არ არის მითითება სამუშაო დღეზე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განხორციელოს შენობების საინჟინრო კომუნიკაციის სრული რევიზია და ანალიზი (CPV 71631000 - მომსახურებები ტექნიკური შემოწმების სფეროში).
3.2. მომსახურებაგანსახორციელებელი შენობებია:
3.2.1. საქართველოს მასშტაბით არსებული საერთო სასამართლოების 66 შენობა - იხ. დანართი 1, რომელიც ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
3.2.2. არქივის 4 შენობა; მისამართებზე: სოფ. დიდი ლილო; ქ. ქუთაისი, ნიუპორტის 32; ქ. ხობი, ც.დადიანის 192; ქ. ქობულეთი, თავისუფლების 21.
3.2.3. შემსყიდველის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების 32.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ჯონი მჭედელაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება ითვლება მიმწოდებლის მიერ განხორციელებულად, ხოლო შემსყიდველის მხრიდან მიღებულად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შედეგად. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების სრულად განხორციელებისა და ამ ხელშეკრულების 7.2. პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შემსყიდველისათვის წარდგენის შემდეგ.
6.2. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან:
6.2.1. შემსყიდველის მხრიდან: ამ ხელშკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრული პირი;
6.2.2. მიმწოდებლის მხრიდან: დირექტორი, მალხაზ კურტანიძე.
6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

7. მომსახურების განხორციელების პირობები

7.1 მომსახურების განხორციელების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
7.2 მომსახურების განხორციელების შედეგად, მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს წერილობითი დასკვნა და გადასცეს შემსყიდველს როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი და ხელმოწერილი სახით.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურებას განხორციელებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად;
8.2. მომსახურებაში რაიმე სახის ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ნაკლი. მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია თავად აღმოფხვრას ნაკლი და გაქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი სრული ღირებულებიდან.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
9.3. დაფინანსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;
9.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და მის საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 30 დღის ვადაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ორმხრივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და ეცადოს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ალტერნატიული საშუალებები.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
12.3.1. შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
12.3.2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5 %-ს, რომლის გადახდა მოხდება დამრღვევი მხარის მიერ ამ თანხის გადახდის შესახებ მეორე მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან განსაზღვრულ ვადაში.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი (დაგვიანებული) თანხის 0,5 %-ის ოდენობით.
13.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

15. დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს ,,თბილი სახლი"
ს/კ 204976179
იურ. მის: ქ. თბილისი, კოსტავას 76
ფაქტ. მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას
გამზ. 20
ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE19BG0000000175579101
ტ: 0322 311 525; 0322 311 535
e-mail: info@casacalda.ge

მალხაზ კურტანიძე
დირექტორი

www.court.ge/map/index.php?lang=Geo
თბილისი რეგიონები
უზენაესი სასამართლო
საკასაციო სასამართლო
რაიონული (საქალაქო) სასამართლო
მაგისტრატი სასამართლო
ბუღალეთს
ზუგდიდი
ფოთი
ოზურგეთი
ხონი
ბაღდათი
ჭიათურა
ონი
ამბროლაური
ცაგერი
ლაგოდეხი
ბოლნისი
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ადიგენი
ხაშური
ზესტაფონი
ტყიბული
ოზურგეთი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბაზალეთი
ბაზალეთ